

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი № 2

ქალაქი ბათუმი

16.12.2020

სხდომას ესწრებოდა მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება „ბათომი“-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი; (ონლაინ)
2. ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი; (ონლაინ).
3. მაყვალა კვირიკაძე - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენტა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. თამაზ თურმანიძე - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯეორჯია“-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდვთა ასოციაციის თავმჯდომარე;
5. რამინ მაჭარაშვილი - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი, გამგეობის წევრი; (ონლაინ)
6. ალექსანდრე შერვაშიძე - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი;
7. ციური ქათამაძე - სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
8. მანუჩარ ლორია - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე;
9. თამარ გუდავა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
10. ირმა აფხაზავა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა
2. მრჩეველთა საბჭოს მდივნის წარდგენა.
3. ქ. ბათუმის 2021 წლის ბიუჯეტის განხილვა

მრჩეველთა საბჭოს დაესწრო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ჩიქოვანი.

არჩილ ჩიქოვანი: მოგესალმებით და მოხარული ვარ, რომ დღეიდან მუშაობას შეუდგება ქალაქ ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭო, რომელის წევრებიც შერჩეულ იქნენ პროფესიული ნიშნით და რომელთაც ჩვენი ქალაქის საჭირობო საკითხების გადაწყვეტა ხელეწიფებათ. საბჭოში შემავალი კომპეტენტური პროფესიონალების რეკომენდაციები დაეხმარება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას იმაში, რომ უფრო მეტი კომუნიკაცია იყოს ჩვენს თანაქალაქელებთან. საბჭოს მოვალეობაა მოქალაქეთა პოზიციები მოიტანოს ქალაქ ბათუმის მერიამდე და გამოვთქვამ იმედს, რომ საბჭოს მუშაობა იქნება ეფექტური და შედეგიანი.

მრჩეველთა საბჭოს ასევე ესწრებოდნენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე, ჯანმრთელობის განყოფილების უფროსი მარინა რუხაძე, ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს დირექტორი სულხან ევგენიძე.

აზრი გამოთქვას:

თამარ გუდავა - მივესალმები მრჩეველთა საბჭოს წევრებს. კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ნდობისთვის, რომელიც თავმჯდომარის პოზიციაზე არჩევით გამოხატეთ ჩემ მიმართ. დღეს, გვექნება ქ. ბათუმის 2021 წლის ბიუჯეტის განხილვა თუმცა მანამდე მინდა მოადგილის პოზიციაზე წარგიდგინოთ რამინ მაჭარაშვილის კანდიდატურა. რომელსაც ასევე მხარს უჭერენ: ბ-ნი თამაზ თურმანიძე, ქ-ნო ნათია აფხაზავა, ქ-ნი მაყვალა კვირიკაძე და ბ-ნი ალექსანდრე შერვაშიძე. რამინი ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი და გამგეობის წევრია; ის გამოცდილია და ვფიქრობ შესაფერისი საქმიანი კანდიდატი იქნება. მრჩეველთა საბჭოს მდივნის პოზიციას დაიკავებს მოტივირებული და ნიჭიერი ახალგაზრდა ალექსანდრე შერვაშიძე. ვფიქრობ ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა საბჭოს საქმიანობაში საინტერესო იქნება.

თამაზ თურმანიძე - პირველ რიგში სასიამოვნოა რომ საბჭოს წევრები იზიარებენ თავმჯდომარის აზრს და მგონი ჩვენი პოზიციაც ემთხვევა ქალბატონი თამარის გადაწყვეტილებას რამინ მაჭარაშვილის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე წარდგენასთან დაკავშირებით.

რამინ მაჭარაშვილი - დიდი მადლობა გამოცხადებული ნდობისათვის. სასიამოვნოა რომ მომეცა შესაძლებლობა ვიყო ამ პოზიციაზე და ვეცდები გამოვიყენო ჩემი გამოცდილება და ვიყო საბჭოს აქტიური წევრი.

ალექსანდრე შერვაშიძე - სასიამოვნოა ასეთი საპასუხისმგებლო პოზიციაზე ჩემი წარდგენა. მადლობა მინდა გადაგიხადოთ. მიუხედავად იმისა, რომ არ მაქვს მსგავს საკითხებში გამოცდილება, ვფიქრობ კარგად გამომივა და რაც მთავარია შევიძენ ახალ გამოცდილებას.

მაქსიმალურად ვეცდები, რომ ჩემზე დაკისრებული მოვალეობები შევასრულო და გავამართლო თქვენი მოლოდინი.

თავმჯდომარის მოადგილედ ფარული კენჭისყრით 10 მომხრე და არცერთი წინააღმდეგი აირჩიეს რამინ მაჭარაშვილი.

არჩევის შემდეგ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძემ წარადგინა ქ. ბათუმის 2021 წლის ბიუჯეტის პრეზენტაცია. ბიუჯეტის დარგების მიხედვით განხილვისას საბჭოს სხდომაზე დაისვა კითხვები.

თამარ გუდავა: ბიუჯეტის გაცნობისას გამიჩნდა კითხვა კულტურის სფეროს დაფინანსებასთან დაკავშირებით. როგორც მომავალი წლის ბიუჯეტიდან ჩანს, პანდემიიდან გამომდინარე ქალაქში კულტურის მიმართულებების დაფინანსებისთვის თანხა შემცირებულია. მაინტერესებს, შეიცვლება თუ არა ბიუჯეტი და დაემატება თუ არა თანხა კულტურის სფეროს დაფინანსებას იმ შემთხვევაში, თუ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია შეიცვლება უკეთესობისკენ?

ედნარ ნატარაძე: ბუნებრივია, ეპიდსიტუაციის შეცვლის შემთხვევაში, რასაც ძალიან ვიმედოვნებთ, დარგების მიხედვით ბიუჯეტი ექვემდებარება ცვლილებას და სრულიად შესაძლებელია მისი გაზრდა.

რამინ მაჭარაშვილი: ბიუჯეტთან დაკავშირებით ვფიქრობ უკეთესი იქნება თუ მოხდება შშმ პირების რეაბილიტაციის პროგრამების სრულად დაფინანსება, ვინაიდან როგორც ვიცი თბილისის მერია ამ კონკრეტულს აფინანსებს სრულად.

ჯანმრთელობის განყოფილების უფროსი მარინა რუხაძე - ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რასაც თქვენ გულისხმობთ ბ-ნო რამინ, შშმ პირებზე დაფინანსება 2021 წლის ბიუჯეტიდან არ შემცირებულა. გარდა ამისა, შეუძლებელია ყველა შშმ პირის სრულად დაფინანსება და არასწორი იქნება თუ მაგალითად 500 ადამიანიდან მხოლოდ 200 ადამიანმა მიიღო 100% შეღავათი და სხვამ ნაკლები. პროგრამების დაფინანსება მომავალ წელსაც სრული დატვირთვით იმუშავებს.

მანუჩარ ლორია - ვფიქრობ საინტერესოაა შედგენილი 2021 წლის ბიუჯეტი, თუმცა კონკრეტული კითხვები მაქვს განათლების სფეროსთან დაკავშირებით. მაინტერესებს იგეგმება თუ არა რაიმე სახის ახალი პროგრამები სტუდენტებისთვის, ისევე როგორც აკადემიური პერსონალისათვის და როგორ იქნება გადანაწილებული განათლების სფეროსთვის დათმობილი ბიუჯეტის თანხა სპორტულ-საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე?

ედნარ ნატარიძე: სპორტულთან დაკავშირებით მხოლოდ პროფესიულ კლუბებს ეხება დაფინანსება, ხოლო რაც შეეხება კონფერენციებს, რა თქმა უნდა შემცირებულია დაფინანსება მაგრამ თავისუფალ პროექტებად შესაძლებელია რომ შემოიტანონ განაცხადი.

ირმა აფხაზავა - იმის გათვალისწინებით რომ ქვეყანაში პანდემიაა, საკმაოდ კარგად არის ბიუჯეტში თანხა გადანაწილებული, ძირითადად ინფრასტრუქტურაზე და ჯანდაცვის სფეროზე რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ამ პერიოდში.

ციური ქათამაძე - უფრო დეტალურად მსურს განხილვა განათლების სფეროსთან დაკავშირებით კონკრეტული ღონისძიებების დაფინანსების საკითხი. კერძოდ, ქ. ბათუმის მერია აფინანსებდა „ბათუმობის» ფარგლებში საერთაშორისო კონფერენციას ბსუ-ში და კონფერენციის მასალების გამოცემას. იმედი მაქვს გადაიხედება ეს საკითხიც და დაფინანსება აღდგება.

ნინო ინაიშვილი - მსურს დავაზუსტო, მომავალ წელს შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის აუცილებლობის საკითხი თქვენთან დააყენა თუ არა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ?

2021 ბიუჯეტში, ერთ-ერთ დაგეგმილ სარეაბილიტაციო შენობასთან დაკავშირებით, მაქვს შენიშვნა, ვინაიდან ეს კონკრეტული შენობა არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ვფიქრობ ამ სიაში არ უნდა იყოს ან სავარაუდოდ არასწორად არის მითითებული მისი მისამართი.

ალექსანდრე შერვაშიძე: ჯერჯერობით ბიუჯეტთან დაკავშირებით კითხვები არ მაქვს თუმცა მსურს კონკრეტული იდეები წარვუდგინო საბჭოს განსახილველად.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

თამარ გუდავა



სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

ალექსანდრე შერვაშიძე









ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი

16.12.2020

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

სახელი, გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
თამარ გუდავა	თავმჯდომარე	
რამინ მაჭარაშვილი	მოადგილე	(ონლაინ რეჟიმში)
ალექსანდრე შერვაშიძე	მდივანი	
ნინო ინაიშვილი	წევრი	(ონლაინ რეჟიმში)
ნათია აფხაზავა	წევრი	(ონლაინ რეჟიმში)
მაყვალა კვირიკაძე	წევრი	
თამაზ თურმანიძე	წევრი	
ციური ქათამაძე	წევრი	
მანუჩარ ლორია	წევრი	
ირმა აფხაზავა	წევრი	